# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-374

თბილისი "10" 07 2009 წ.

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი „ქ. ბათუმის შესასვლელში სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის მე-100 კმ-ზე მდ. კუბისწყალზე დაზიანებული ხიდის ნაცვლად კაპიტალური სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ**

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 30.06.09წ. №69 ეკოლოგიური ექსპერტიზის თანდართული დასკვნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ „ქ. ბათუმის შესასვლელში, სენაკი-ფოთი-სარფი საავტომობილო გზის მე-100 კმ-ზე მდ. კუბისწყალზე დაზიანებული ხიდის ნაცვლად კაპიტალური სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

**ეგზავნება:** ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.